შპს „კავკასუს შიფინგ ეიჯენსი“

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

ლარი	2022	2021
მთლიანი შემოსავალი	18,611,880	14,870,134
შემოსავლები სააგენტო ოპერაციებიდან	(14,533,887)	(11,472,975)
მთლიანი მოგება	**4,077,993**	**3,397,159**
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(17,032,600)	(13,742,597)
სააგენტო ოპერაციებზე გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14,533,887	11,472,975
საქონლისა და მომსახურების წმინდა თვითღირებულება	**(2,498,713)**	**(2,269,622)**
საერთო მოგება	**1,579,280**	**1,127,537**
შრომის ანაზღაურების ხარჯები	(873,843)	(906,373)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(28,873)	(33,380)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(159,767)	(208,300)
საოპერაციო მოგება	**516,797**	**(20,517)**
საპროცენტო შემოსავლები	75,418	51,115
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(6,979)	2,205
ფინანსური შემოსავალი	(149,925)	10,593
მოგება დაბეგვრამდე	**435,311**	**41,191**
მოგების გადასახადის ხარჯი	(0.00)	(7,652)
პერიოდის წმინდა მოგება	**435,311**	**33,539**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები		
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,482,308	1,333,449
გადახდილი ავანსები	650	650
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	179,472	57,727
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3,277	3,041
სულ მიმდინარე აქტივები:	**1,665,707**	**1,394,867**
ძირითადი საშუალებები	147,339	54,855
არამატერიალური აქტივები	94,728	111,445
სულ გრძელვადიანი აქტივები:	**242,067**	**166,300**
სულ აქტივები:	**1,907,774**	**1,561,167**
ვალდებულებები და კაპიტალი		
კრედიტორული დავალიანება	92,660	561,475
სხვა ვალდებულებები	406,564	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	36,741	60,066
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	**535,965**	**621,541**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები:	**535,965**	**621,541**
სააქციო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებებლი მოგება	1,371,809	939,626
სულ კაპიტალი	**1,371,809**	**939,626**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:	**1,907,774**	**1,561,167**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ:

დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	-	939,626	**939,626**
პერიოდის წმინდა მოგება	-	435,311	**435,311**
პერიოდის მთლიანი სრული მოგება	-	1,374,937	1,374,937
გადახდილი დივიდენდები	-	(-)	(-)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(3,128)	**(3,128)**
სულ: კაპიტალში შეტანა და განაწილება დამფუძნებლებზე	-	(-)	(-)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	1,371,809	1,371,809

1. ძირითადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს კავკასუს შიფინგ ეიჯენსი (კომპანია) დაფუძნდა საქართველოში 2014 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრირებული ოფისის მისამართია ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის #49. კომპანია საქმიანობას ეწევა როგორც სააგენტო, თურქეთში რეგისტრირებული კომპანიისა „Arkas Shipping and Transport S.A.".

ძირითადი საქმიანობა მოიცავს სააგენტო ოპერაციებს, სატერმინალო მომსახურებას და სხვა სატრანსპორტო სერვისებს საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანის მმართველი დირექტორია გოქსან ი. აკანი (I. Goksan Akan.).

კომპანიის დამფუძნებელი და საკონტროლო წილის მფლობელია კომპანია „Arkas Shipping and Transport S.A.", რომელიც დაფუძნებულია და ოპერირებს თურქეთის ტერიტორიაზე.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საოპერაციო არეალი მოიცავს საქართველოს. შესაბამისად, მასზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური გარემო და საფინანსო სექტორი. საქართველოს ბიზნეს გარემო მდგრადი განვითარებით ხასიათდება, თუმცა ჯერ ისევ ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, რაც იწვევს ნორმატიული აქტებისა და კანონების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირების პრობლემებს.

2. მომზადების საფუძვლები

(a) ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. 2018 წლის 1-ლი იანვრიდან კომპანია აღნიშნულ სტანდარტს იყენებს თავის საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად, კომპანია მე-3 კატეგორიას მიეკუთვნება. ამ კატეგორიის შესაბამისად, კომპანია ვალდებული არ არის წარადგინოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. **მსს ფასს**-ის თანახმად, თუ კომპანია ირჩევს შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად 2018 წლის 1-ლ იანვარს, მაშინ მის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის და 31 დეკემბრისთვის, ასევე საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენა ნებაყოფლობითია. ჩვენს შემთხვევაში, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი წარმოდგენილი არ არის.

(b) ღირებულების განსაზღვრის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების ბაზაზე, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის ჩათვლით.

(c) წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა „ ქართული ლარი", რომელიც წარმოადგენს კომპანიის აღრიცხვის ვალუტასაც. ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

(d) შეფასება და განსჯა

ფინანსური ანგარიშგების მომზადება შესაბამისობაშია **მსს ფასს**-ებთან, რომელიც მენეჯმენტისგან მოითხოვს განსჯას, შეფასებასა და დაშვებებს, რომლებიც თავისმხრივ გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხულ ოდენობაზე.

შეფასებები და დაშვებები განიხილება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. წარსული პერიოდის ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ცვლილება.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ აღნიშნული სააღრიცხვო პერიოდი გამოიყენებოდა მუდმივად, მთელი საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე.

(a) უცხოური ვალუტა

(i) გარიგებები უცხოური ვალუტით

უცხოურ ვალუტაში დადებული გარიგებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში, ტრანზაქციის დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელსაც თავის მხრივ ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იანგარიშება

სამართლიანი ღირებულებით, გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები, გადაყვანილია ტრანზაქციის დღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

(b) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები გულისხმობს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულს და ფულად ექვივალენტებს, ინვესტიციებს აქციებში,

კომპანია სესხებს, მოთხოვნებსა და დეპოზიტებს თავდაპირველად აღიარებს იმ თარიღისთვის, როდესაც ისინი წარმოიშვა. ყველა სხვა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარდება იმ თარიღისთვის, როდესაც კომპანია გახდა კონტრაქტორი-მხარე დადებულ გარიგებაში.

კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიის უფლებას აქტივიდან ფულადი ნაკადები მიეღო, ვადა გაუვიდა ან/და აღნიშნული უფლება და მასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა სხვა მხარეს. ნებისმიერი სარგებელი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელიც შეძენილია ან შექმნილია კომპანიის შიგნით, აღიარდება ცალ-ცალკე, როგორც აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გადაიფარება და წმინდა ნაშთი ნაჩვენები იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება გადაფაროს (ურთიერთგაქვითოს) თანხები და სხვაობა, წმინდა ნაშთი ასახოს შესაბამისად აქტივის ან ვალდებულების ანგარიშზე.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად: სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ ფინანსური აქტივების კატეგორიას ფიქსირებული ან წინასწარ განსაზღვრული გადახდებით. აღნიშნული აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, პლუს ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯი. შემდგომში, სესხებისა და მოთხოვნების საწყისი აღიარება დაიყვანება ამორტიზებულ ღირებულებამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები აერთიანებს ფულად ნაშტებს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის სამ თვემდე ვადით.

ფანარჩენი ფინანსური ვალდებულებები აერთიანებს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს.

(c) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულებით), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. თვითთღირებულება ასევე მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ იყო დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალების შეძენასთან.

(ii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი მიღებულ იქნება ექსპლუატაციაში, ან მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლოატაციაში გაშვებისთვის.

ცვეთა აღირიცხება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდით, შეფასებული საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით, თითოეულ აქტივზე ცალ-ცალკე.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო საექსპლუატაციო ვადა აქტივთა ცალკეულ ჯგუფზე, მოცემულია ქვემოთ:

- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი
- ინვენტარი და აღჭურვილობა 4 -5 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა 4 -5 წელი

ცვეთის მეთოდი, სასარგებლო ვადა და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველ ფინანსურ წელს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

(iii) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია კომპანიის მიერ და გააჩნია განსაზღვრული სასარგებლო ვადა, აღიარდება თვითღირებულებით, ამორტიზაციისა და გაუფასურების ხარჯების გამოკლებით.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი, წრფივი მეთოდის მიხედვით, შეფასებული სარგებლიანობის ვადის გათვალისწინებით, გუდვილის გარდა.

შეფასებული სასარგებლო-საექპლუატაციო ვადა მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, არის:

- საბუღალტრო და საოპერაციო პროგრამები 10 წელი

ამორტიზაციის მეთოდი, სასარგებლო ვადა და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველ ფინანსურ წელს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

(d) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები არ აღირიცხება(ჩამოფასდება) სამართლიან ღირებულებამდე, მანამ სანამ არ იარსებებს ობიექტური მტკიცებულებები იმისა რომ აქტივი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ მტკიცებულებები მიუთითებს

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივები (აქციების ჩათვლით) არის გაუფასურებული, შეიძლება გულისხმობდეს დებიტორის გადახდისუუნარობას, ვადაგადაცილებული ვალის რესტრუქტურიზაციას, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია (კორელირებს) მსესხებლის გადახდისუნარიანობასთან. აგრეთვე, აქციებში ინვესტირების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი კლება მისი სამართლიანი ღირებულებისა მის თვითღირებულებასთან შედარებით.

სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია გაუფასურების მტკიცებულებებს განიხილავს როგორც სპეციფიკურ, ისე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული დავალიანება შეფასებულია სპეციფიკური გაუფასურებით. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული მოთხოვნა, რომელიც არ არის სპეციფიკურად გაუფასურებული, შემოწმებული კოლექტიურად გაუფასურებაზე, რომელიც მომხდარი, მაგრამ არ არის იდენტიფიცირებული.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების გაუფასურება აღიარდება კაპიტალის რეზერვში აკუმულირებული დანაკარგების რეკლასიფიცირებით. დაგროვილი ზარალი რომელიც კაპიტალიდან რეკლასიფიცირებულია მოგება-ზარალში, წარმოადგენს სხვაობას შეძენის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის.

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, გარდა სასაქონლო მარაგებისა და გადავადებული საგადასადო აქტივებისა, გადაიხედება ყოველი ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, თუკი არსებობს რაიმენაირი მაჩვენებელი გაუფასურებისა. თუკი, რომელი ასეთი ინდიკატორი არსებობს, მაშინ აქტივის აღდგენითი ღირებულება ექვემდებარება შეფასებას. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც არ გააჩნიათ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადა ან/და არ არის ჯერ ხელმისაწვდომი გამოყენებისთვის, მათი აღდგენითი ღირებულება შეფასდება ყოველი წლის ერთიდაიმავე თარიღისთვის. გაუფასურების ზარალი აღიარდება როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს აქტივის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის უდიდესი მის სასარგებლო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (შემცირებულს გაყიდვის ხარჯებით) შორის. სასარგებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება მიმდინარე ღირებულების გამოთვლა, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეშვეობით. რა დროსაც დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

(e) დასაქმებულთა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის მხრიდან დასაქმებულთა მიმართ მოკლევადიანი ვალდებულებები ფასდება არადისკონტირების საფუძველზე და ხარჯად აღიარდება მაშინ როდესაც მომსახურება გაწეულ იქნა. ვალდებულება აღიარდება მოსალოდნელი თანხის სიდიდით, თუ კომპანიას აქვს სამართლებრივი ან ხელშეკრულებითი (კონსტრუქციული) ვალდებულება ამ თანხის გადახდისა. ამასთან, ეს უნდა იყოს წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგი და მისი შეფასება შესაძლებელი იყოს საიმედოდ.

(f) შემოსავლები

(i) სააგენტო ოპერაციები

გაწეული სააგენტო მომსახურებიდან შემოსავლები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მიღებული და მისაღები, სავაჭრო ფასდაკლებების და წმინდა შემოსავლების მიხედვით. შემოსავლები აღიარებულია მაშინ, როდესაც არსებობს უტყუარი მტკიცებულებები იმისა რომ მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი კლიენტზეა გადაცემული. დაკავშირებული ხარჯები შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და ასევე მისაღები შემოსავლებიც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ. თუკი შესაძლებელია, რომ ფასდაკლებები იქნება გაცემული და ამ ფასდაკლების ოდენობა საიმედო იქნება შეფასებული, მაშინ ფასდაკლებული თანხა აღიარდება როგორც შემცირებული შემოსავალი.

რისკის და სარგებლის გადაცემის დრო განსხვავებულია და იგი დამოკიდებულია გაყიდვების ხელშეკრულების ინდივიდუალურ პირობებზე. ფრახტისა და მოცდენის შემთხვევაში რისკის და სარგებლის გადაცემას როგორც წესი ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ტვირთი ჩამოსულია ფოთის პორტში და კლიენტი მიიღებს მას. კომპანიის მიერ გამომუშავებული შემოსავალი როგორც აგენტისა და არა როგორც პრინციპალისა, ნაჩვენებია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავლები „სააგენტო ოპერაციებიდან“.

(ii) სერვისები/მომსახურება

გაწეული სატერმინალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალში, როდესაც მოსალოდნელია ტრანზაქციასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის/სარგებლის მიღება კომპანიაში და ამასთანავე შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

(g) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური შემოსავლები/ხარჯები მოიცავს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მოგება/ზარალს.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღბული მოგება და ზარალი აღრიცხულია წმინდა ნაშთის მიხედვით, ან ფინანსურ შემოსავლებში, ან ფინასურ ხარჯებში.

(h) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯები მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე გადასახადი და გადავადებული გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალში გარდა

იმ შემთხვევებისა, როდესაც პირდაპირ ხდება აღიარება კაპიტალში, ან სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახდელი ან მისაღები გადასახადი დასაბეგრ მოგება/ზარალზე, პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი აგრეთვე მოიცავს საგადასახადო ვალდებულებას, წარმოშობილს დივიდენდების გაცემის დეკლარირებისას.

გადავადებული გადასახადი წარმოიშობა დრობითი სხვაობისას ფინანსური ანგარიშგების მიზენბისთვის აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებსა და საგადასახადო მიზნებისათვის აღრიცხულ თანხებს შორის.

4. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები მოითხოვს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური და არაფინანსური აქტივებისათვის, ისე ვალდებულებებისთვის. როდესაც მოითხოვება, დამატებითი ინფორმაცია დაშვებების შესახებ აღნიშნული უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

(a) სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება, განისაზღვრება როგორც მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომლისთვისაც დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ანაგარიშგების შედგენიოს თარიღისათვის. ეს სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამატებითი განმარტებითი მიზნებისთვის.

(b) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

სამართლიანი ღირებულება, რომელიც განსაზღვრული განმარტებითი მიზნებისთვის, განისაზღვრება როგორც მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომლისთვისაც დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ანაგარიშგების შედგენიოს თარიღისათვის. ეს სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამატებითი განმარტებითი მიზნებისთვის.

5. ამონაგები და გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2022	2021
შემოსავლები სააგენტო ოპერაციებიდან	14,533,887	11,472,975
შემოსავლები გაწეული სატერმინალო მომსახურებიდან	4,077,993	3,397,159
მთლიანი შემოსავლები	**18,611,880**	**14,870,134**

ლარი	2022	2021
სააგენტო მომსახურების თვითღირებულება	(14,533,887)	(11,472,975)
გაწეული სატერმინალო მომსახურების თვითღირებულება	(2,498,713)	(2,269,622)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	**(17,032,600)**	**(13,742,597)**

სააგენტო ოპერაციები

სააგენტო ოპერაციების ფარგლებში, კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების თვითღირებულება/შემოსავლები უკავშირდება ფრახტს და დემერიჯს (კონტეინერის მოცდენას) რომლის დროსაც კომპანია მოქმედებს პრინციპა-აგენტის ურთიერთობების ფარგლებში.

კლიენტს წარედგინება ფრახტის, მოცდენის და სხვა სააგენტო მომსახურების ხარჯები, შესაბამის პერიოდში. შემდეგ, კომპანია მიღებულ საზღვაო ფრახტებისა და კონტეინერის მოცდენის თანხებს გადაურიცხავს პრინციპალს. რამდენაც კომპანია არ ელოდება სარგებელსა თანხის მიღბისა და გადარიცხვის პროცესში და არ ეწევა რაიმე სახის რისკებს, ასეთი ტრანზაქციები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია როგორც „სააგენტო ოპერაციები“.

6. ფინანსური შემოსავალი

ლარი	2022	2021
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი	(149,925)	10,593
ფინანსური შემოსავალი	**(149,925)**	**10,593**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(873,843)	(906,373)
იჯარა	(56,868)	(60,064)
დაზღვევა	(13,082)	(12,731)
ცვეთა	(28,873)	(40,000)
მანქანის შეკეთება	(9,119)	(6,030)
სხვა ხარჯები	(80,699)	(137,499)
	(1,062,484)	**(1,148,053)**

8. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის განაკვეთი 15%

ლარი	2022	2021
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	(0,00)	(7,652)
მთლიანი საგადასახადო ხარჯი	**(0,00)**	**(7,652)**

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	სატრანსპორტო საშუალებები	ინვენტარი და აღჭურვილობა	კომპიუტ. ტექნიკა	სულ:
თვითღირებულება				
ნაშთი 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის	46,463	8,392	-	**54,855**
შემოსვლა	102,735	1,906	-	**104,641**
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	**149,198**	**10,298**	-	**159,496**
ცვეთა				
ნაშთი 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის	(64,964)	(7,996)	-	**(72,960)**
დარიცხული ცვეთა პერიოდის განმავლობაში	(11,005)	(1,152)	-	**(12,157)**
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	**(75,969)**	**(9,148)**	-	**(85,117)**
ნარჩენი ღირებულება				
2022 წლის 1-ლი იანვრისათვის	46,463	8,392	-	54,855
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	138,194	9,145	-	147,339
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	**138,194**	**9,145**	-	**147,339**

ცვეთის ხარჯები ჯამურად ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში

10. სავაჭრო მოთხოვნები

ლარი	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	179,472	561,475
სავაჭრო მოთხოვნები	**179,472**	**561,475**

11. ფული და ფულადი ექვივალენტები

ლარი	2022	2021
ნაშთი ბანკებში	1,482,308	1,333,449
ფული და ფულადი ექვივალენტები	**1,482,308**	**1,333,449**

12. კაპიტალი და რეზერვები

(a) კაპიტალში შენატანი

კომპანია დაფუძნებულ იქნა კაპიტალში შენატანების გარეშე, მესაკუთრეების მხრიდან.

(b) დივიდენდები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ დივიდენდების გაცემას ადგილი არ ჰქონია.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიის დამფუძნებელი და საკონტროლო წილის მფლობელია Arkas Shipping and Transport SA.

ტრანზაქციები მენეჯმენტის წევრებთან

(i) მენეჯმენტის კომპენსაცია

კომპანიამ მიიღო ქვემოაღნიშნული კომპენსაცია წლის განმავლობაში, რომელიც მოიცავს ხელფასებსა და შრომის ანაზღაურებას.

ლარი	**2022**	**2021**
ხელფასები და ბონუსები	**163,634**	**155,064**